

წესები და პირობები Apple Pay Digital Wallet

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს მობილურ მონაცემთა ბაზაში პროგრამული უზრუნველყოფის - Apple Pay Digital Wallet აპლიკაციის (შემდგომში „აპლიკაცია“) საშუალებით საბანკო მომსახურების მიღების წესებსა და პირობებს.

1. ტერმინების განმარტება

1.1. ბანკი - სს „პროკრედიტ ბანკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204851197, საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 21, 0160, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის N233.

1.2. მომსახურების გამწვევი - იურიდიული პირი (Apple Distribution International LTD, Hollyhill Industrial Estate, Cork, Ireland), რომელიც წარმოადგენს იმ მობილური მონაცემთა ბაზის ვენდორს, რომელშიც შესაძლებელია „აპლიკაციის“ რეგისტრაცია და აქტივაცია. აპლიკაცია თავსებადია მომსახურების გამწვევის მიერ დაშვებულ მობილურ მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის iPhone 6+, iPad, the Apple Watch და სხვა.

1.3. მომსახურების გამწვევის წესები და პირობები - ხელშეკრულება აპლიკაციის გამოყენების პირობებზე, რომელიც ფორმდება კლიენტსა და მომსახურების გამწვევს შორის.

1.4. პლასტიკური ბარათი - კლიენტის სახელზე დამზადებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელსაც გააჩნია უკონტაქტო გადახდების ფუნქცია.

2. ზოგადი პირობები

2.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თქვენსა და სს „პროკრედიტ ბანკს“ შორის გაფორმებული „საბანკო მომსახურების პირობების“ დამატებას. აპლიკაციაში პროკრედიტ ბანკის პლასტიკური ბარათის რეგისტრაციით თქვენ (შემდგომში „კლიენტი“) ეთანხმებით წინამდებარე დოკუმენტსა და „საბანკო მომსახურების პირობებს“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: www.procreditbank.ge. „საბანკო მომსახურების პირობები“ წარმოადგენს თქვენსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

2.2. „აპლიკაციაზე“ ექსკლუზიური უფლებები ეკუთვნის მომსახურების გამწვევს, შესაბამისად აპლიკაციით სარგებლობაზე ვრცელდება მომსახურების გამწვევის წესები და პირობები, აპლიკაციის საშუალებით მიღებულ საბანკო მომსახურებაზე ვრცელდება „საბანკო მომსახურების პირობები“.

2.3. აპლიკაციაში პროკრედიტ ბანკის პლასტიკური ბარათის რეგისტრაციის შემდეგ, კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნული აპლიკაციის საშუალებით მიიღოს საბანკო მომსახურება და შეასრულოს საბარათო ტრანზაქციები საბანკო მომსახურების პირობებისა და მომსახურების გამწვევის წესებისა და პირობების შესაბამისად.

2.4. ბანკი არ ითხოვს ანაზღაურებას აპლიკაციით სარგებლობისთვის.

2.5. კლიენტი გაეცნო და ეთანხმება „საბანკო მომსახურების პირობებს“, აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულ საბანკო პლასტიკური ბარათების დებულებებსა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოს.

3. აპლიკაციაში პლასტიკური ბარათის აქტივაცია

3.1. აპლიკაციაში საბანკო მომსახურების გასააქტიურებლად, ინსტრუქციის მიხედვით უნდა დაარეგისტრირდეთ თქვენს სახელზე არსებული პლასტიკური ბარათ(ებ)ი, დაადასტუროთ თქვენ შესახებ მითითებული მონაცემების სისწორე და ასევე აუთენტიფიკაციის მონაცემები (აპლიკაციის პას-

კოდი, პაროლი, აგრეთვე სხვა ნებისმიერი მონაცემი, რომელიც გამოიყენება აპლიკაციაში შესასვლელად).

3.2. აპლიკაციაში პლასტიკური ბარათის გააქტიურებისათვის, აქტივაცია უნდა დაადასტუროთ ბანკისგან მიღებული ერთჯერადი უნიკალური კოდით.

4. აპლიკაციით სარგებლობა და გადახდების განხორციელება

4.1. აპლიკაციის მეშვეობით საბანკო მომსახურების მიღების მიზნით, მომსახურების უსაფრთხოებისა და თაღლითობის პრევენციის მიზნით, ბანკი, დაამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, მომსახურების გამწვევთან სახელმძღვანელო ვალდებულებების შესრულების მიზნით, აპლიკაციით შესრულებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას (არაიდენტიფიცირებადი ფორმით) გაუზიარებს მომსახურების გამწვევს. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ მომსახურების გამწვევისთვის ან სხვა პირებისთვის გაზიარებული ინფორმაციის დამუშავებაზე.

4.2. აპლიკაციის გამოყენებით გადახდების წარმოებისას, თითოეული გადახდა (ანგარიშსწორება) უნდა დაადასტუროთ პას-კოდით, ან აუთენტიფიკაციის სხვა მონაცემით.

4.3. აპლიკაციაში კლიენტს აქვს წვდომა ინფორმაციაზე აპლიკაციით შესრულებული ბოლო ოპერაციების შესახებ: თარიღი, შესყიდვის თანხა, გამყიდველის სახელწოდება.

5. უსაფრთხოების ზომები და პასუხისმგებლობა

5.1. პას-კოდი და ყველა ის მონაცემი, რომელიც გამოიყენება აპლიკაციაში შესვლის/სარგებლობის მიზნით, არის პერსონალური იდენტიფიკაციის/აუთენტიფიკაციის საშუალება, არის კონფიდენციალური და მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი. თქვენ ვალდებული ხართ, უზრუნველყოთ, აღნიშნული მონაცემებისა და აგრეთვე, მობილური მონაცემების უსაფრთხოება.

5.2. სრულად გეკისრებათ პასუხისმგებლობა თქვენი მობილური მონაცემების, პაროლისა და იმ მონაცემების უსაფრთხოებაზე, რომელიც გამოიყენება აპლიკაციაში შესასვლელად. აღნიშნული მონაცემების გატეხვის/გამჟღავნების ან ასეთის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოთ მონაცემები იმისათვის, რომ თავიდან აირიდოთ თქვენი პლასტიკური ბარათისა და პირადი ინფორმაციის არასანქცირებული/კანონსაწინააღმდეგო გამოყენება;

5.3. მობილური მონაცემების შეცვლისას, დაკარგვისას ან/და მესამე პირ(ებ)ის წვდომის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოთ პლასტიკური ბარათის დეაქტივაცია აპლიკაციიდან ან დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ბანკს (შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით) იმისათვის, რომ განხორციელდეს თქვენი პლასტიკური ბარათის დაბლოკვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას თქვენს წინაშე, თანხის დაკარგვის შემთხვევაში მის ანაზღაურებაზე;

5.4. მომსახურების გამწვევის მხრიდან ნებისმიერი მიზეზით მომსახურების შეჩერებაზე/შეფერხებაზე ბანკი არ აგებს პასუხს თქვენს (ასევე მესამე პირების) წინაშე. აპლიკაციის მეშვეობით გადახდების წარმოებისას შეფერხების შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეთ მომსახურების გამწვევს.

5.5. ბანკი არ აგებს პასუხს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შეფერხება/ხარვეზი გამოწვეულია სხვა მესამე პირების საქმიანობიდან, მაგ: უსადენო კავშირგაბმულობის ოპერატორის საქმიანობიდან, რომელიც უზრუნველყოფს მობილურ ქსელთან სატელეფონო კავშირის მობილური მონაცემების ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული მესამე პირები ადგენენ მომსახურების საკუთარ წესებსა და პირობებს.

6. მომსახურების შეწყვეტა

6.1. ბანკი უფლებამოსილია, შეწყვეტოს აპლიკაციის საშუალებით საბანკო მომსახურების განვცა კლიენტებისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე 1 თვიანი ვადის დაცვით.

6.2. თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული მომსახურება, აპლიკაციაში რეგისტრირებული პროკრედიტ ბანკის პლასტიკური ბარათის დეაქტივაციით და მონაცემების წაშლით.

6.3. ბანკს შეუძლია, ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ, კლიენტის შეტყობინების გარეშე, შეწყვიტოს/შეაჩეროს/შეზღუდოს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საბანკო მომსახურება, თუ კლიენტი დაარღვევს ამ დოკუმენტით დადგენილ პირობებს ან/და გაჩნდება ეჭვი პლასტიკური ბარათ(ებ)ის არასანქცირებული გამოყენების შესახებ.

7. დაგვიკავშირდით

საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ბანკის კონტაქტ ცენტრს ნომერზე: *2222 ან (32) 220 22 22, 09:00 სთ-დან 21 : 00 სთ-მდე პერიოდში, ან მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: support@procreditbank.ge.

Apple Pay Digital Wallet Terms and Conditions

This document sets forth the terms and conditions for using bank services through the Apple Pay Digital Wallet software application in your mobile device (hereinafter – the Application).

1. Definitions

1.1. Bank – JSC ProCredit Bank, identification number: 204851197; 21, Al. Kazbegi Avenue, Tbilisi 0160, Georgia; Banking Licence №233.

1.2. Service Provider - a legal entity (Apple Distribution International LTD, Hollyhill Industrial Estate, Cork, Ireland), being the vendor of the mobile devices where the Application can be signed up for and activated. The Application is compatible with the mobile devices authorized by the Service Provider, including iPhone 6+, iPad, the Apple Watch, etc.

1.3. Service Provider Terms and Conditions – the agreement on the terms and conditions for using the Application that is signed between a customer and the Service Provider.

1.4. Plastic Card – a bank plastic card issued to the cardholder with a contactless payment function.

2. General Terms and Conditions

2.1. This document is an addendum to the Bank Service Terms and Conditions between you and JSC ProCredit Bank. By registering the ProCredit Bank Plastic Card with the Application, you (hereinafter – the Customer) agree with this document and accept the Bank Service Terms and Conditions uploaded to the Bank website: www.procreditbank.ge. The Bank Service Terms and Conditions constitute an integral part of the agreement(s) between the Bank and you.

2.2. The Service Provider owns exclusive rights to the Application and, accordingly, the Service Provider Terms and Conditions apply to the use of the Application and the Bank Service Terms and Conditions apply to the bank services received through the Application.

2.3. After having registered the ProCredit Bank Plastic Card with the Application, the Customer can receive bank services and perform card transactions through the Application subject to the Bank Service Terms and Conditions and the Service Provider Terms and Conditions.

2.4. The Bank shall not charge for using the Application.

2.5. The Customer has read and accepts the Bank Service Terms and Conditions, the bank plastic card provisions and the security guidelines set out in the said document.

3. Activating the Plastic Card in the Application

3.1. To activate bank services in the Application, you must register your plastic card(s), confirm the accuracy of the data about you, and the authentication details (the Application passcode, password as well as any other details used to access the Application).

3.2. To activate the Plastic Card in the Application, you must confirm the activation using a one-off unique code received from the Bank.

4. Using the Application and Making Payments

4.1. To receive bank services through the Application, secure the services and prevent fraud, the Bank shall process your personal data, inter alia, share the information on the transactions performed through the Application (in an unidentifiable form) with the Service Provider for the purpose of performing any contractual obligations before the Service Provider. The Bank shall not be liable for the processing of any information shared by the Customer with the Service Provider or any other person.

4.2. When making payments through the Application, you must confirm each payment with a passcode or another authentication data.

4.3. In the Application, the Customer has access to the information on the last transactions performed through the Application: date, purchase amount, merchant's name.

5. Security Measures and Liability

5.1. The passcode and all the other data used to access/use the Application shall be a means of personal identification/authentication, shall be confidential and known to you only. You must ensure the security of the data as well as of your mobile device.

5.2. You shall be fully liable for the security of your mobile device, password and the data used to access the Application. If the data are compromised/disclosed or such suspicion arises, you must immediately change the data in order to avoid any unauthorized/illegal use of your Plastic Card and personal information.

5.3. If your mobile device is replaced, lost and/or accessed by any third person(s), you must immediately deactivate the Plastic Card or immediately contact the Bank (using the agreed channels of communication) in order to have your Plastic Card blocked. Otherwise, the Bank shall not be liable before you to reimburse you of any amount you may lose.

5.4. The Bank shall not be liable before you (or any third persons) should the Service Provider suspend/delay services for any reason. If there is any delay in making payments through the Application, you must contact the Service Provider.

5.5. Nor shall the Bank be liable where any delay/defect in services is caused by the activities of the third persons such as the activities of the wireless communication operator that provides telephone communication

to the mobile network for the operation of the mobile device. Such third persons set their own service terms and conditions.

6. Termination of Services

6.1. The Bank may terminate the bank services through the Application by giving customers a 1-month prior notice thereon.

6.2. You can terminate the services under this document at any time by deactivating the ProCredit Bank Plastic Card and deleting the data registered with the Application.

6.3. The Bank can terminate/suspend/limit the services under this document at any time, immediately, without notice to the Customer, if the Customer has breached the terms and conditions stipulated by this document and/or any unauthorized use of the Plastic Card(s) is suspected.

7. Contact Us

For any matter relating to the bank services, please call the Bank Contact Center at *2222 or (32) 220 22 22, from 09:00 till 21:00, or write to us at the following email address: support@procreditbank.ge.